საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 1 21 0000743748

26/07/2021

ჰუმანიტარული მეცნიერებების (ენების გარეშე) (ვიწრო სფეროს კოდი: 022), ენების (ვიწრო სფეროს კოდი: 023) და ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური (ვიწრო სფეროს კოდი: 028) ვიწრო სფეროების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2021 წლის 22 ივლისის №734620 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-14 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების (ენების გარეშე) (ვიწრო სფეროს კოდი: 022), ენების (ვიწრო სფეროს კოდი: 023) და ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური (ვიწრო სფეროს კოდი: 028) ვიწრო სფეროების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა (გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა, დამსაქმებელთა, საერთაშორისო ექსპერტთა, სტუდენტთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა) ატესტაცია (შემდგომში - ატესტაცია) შემდეგი დეტალური სწავლის სფეროების მიხედვით:
ა) რელიგია და თეოლოგია;
ბ) ისტორია და არქეოლოგია;
გ) ფილოსოფია და ეთიკა;
დ) ენის დაუფლება;
ე) კავკასიოლოგია;
ვ) ლიტერატურა და ლინგვისტიკა;

ზ) ინტერდისპიცლინური - მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (მოიცავს: თავისუფალ მეცნიერებებს, ციფრულ ჰუმანიტარიას, კულტურული მემკვიდრეობის კვლევებს და შუა საუკუნეების კვლევებს).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ექსპერტთა მიმართ ატესტაციის ფარგლებში მოხდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებისა ან/და სამეცნიერო-კვლევის გამოცდილება;
ბ) დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე აკრედიტაციის ექსპერტს შეიძლება ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;
დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
დ.ა) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
დ.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
დ.გ) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
დ.დ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
დ.ე) შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები;
ე) კომპიუტერული უნარების ქონა;
ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
თ) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა (სასურველია).

3. ატესტაციის ეტაპებად განისაზღვროს:
ა) 2021 წლის 29 ივლისიდან 2021 წლის 16 აგვისტომდე - ექსპერტთა რეგისტრაცია;
ბ) 2021 წლის 17 აგვისტოდან 2021 წლის 23 აგვისტომდე - საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ექსპერტთა ფორმალური შესაბამისობის დადგენა;
გ) 2021 წლის 30 აგვისტოდან 2021 წლის 30 სექტემბრამდე - საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ექსპერტთა შესაბამისობის შეფასება, რაც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:
გ.ა) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ნიმუშის საფუძველზე შესასწავლი საკითხებისა და ინტერვიურების პროცესის შესაბამისი შეკითხვების შემუშავება;
გ.ბ) ინტერვიურების პროცესის სიმულაცია და გასაუბრება;
გ.დ) შესაბამისი დასკვნის მომზადება;
დ) 2021 წლის 2 ნოემბრამდე - ექსპერტთათვის ინდივიდუალური შედეგების გაცნობა.

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ექსპერტთა შესაბამისობის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, კომუნიკაციების თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

5. ატესტაციაში ექსპერტის მიერ არასაპატიო მიზეზით მონაწილეობის არ მიღება ან ატესტაციის რომელიმე ეტაპზე არ გამოცხადება წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველს.
6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის განხორციელება და შედეგების შესაბამისი კომისიისათვის წარდგენა.
7. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ